

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი**

კანონპროექტის მიღების მიზეზია რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მექანიზმის 2010 წლის 1 იანვრიდან გაუქმების შესაძლებლობა.

**ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი**

კანონპროექტის მიღების მიზანია რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

„საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ამა თუ იმ ინსტანციის სასამართლოში მოსამართლის არყოფნისას ან განსახილველ საქმეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში შესაძლებელია ამ სასამართლოში მივლინებულ იქნეს სხვა სასამართლოს მოსამართლე. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრება შეიძლება განხორციელდეს 2010 წლის 1 იანვრამდე.

მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში, რომელიც ინსტიტუციური რეფორმის ჭრილში გულისხმობს პირველი ინსტანციის სასამართლოების გამსხვილებას, არსებობს აღნიშნული მექანიზმის საჭიროება. შესაბამისად, კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის 2012 წლამდე გადაწევას, რაც მოგვცემს სასამართლოებში განსახილველ საქმეთა დიდი რაოდენობის შემთხვევაში ეფექტური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი**

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე